



ნახ. გ. ლომიძისა

სერიოზულად უნდა ვუსაყვედუროთ ჩვენს სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებს, რომლებიც აჭიანურებენ მეცხოვედების ობიექტების მშენებლობის დამთავრებასა და საქსპლუტაციოდ დროულად გადაცემას.
საგარემოს კვ. ცკ-ის XVIII პლენუმის მასალებიდან.

- უვილო, გოჩოლა, სანაძის?
- ნუ გეუინია, დედიკო, ამათ ხელში ჩაპარა არ გავთავდება!

შვილი გამისტუმრებდა

შვილი მყავდა, რა შვილი:
წიგნებს ლამეს უთევდა,
წინ უძღოდა ძლიერებს,
მხარში ედგა სუსტებსა...

რაც სტულენტად ჩარიცხეს,
შეიცვალა ერთიან,
ახლა მისთვის, თითქოსდა,
ყველაფერი ერთია...

ლაპარაკობს დიდგულად,
დიდკაცურად, აგზნებით,
დილით გვიან იღვიძებს,
დგება დაიხზებით.

მოუშვია თმა-წვერი,
დადის თავის ქიციანით,
უფულობას ვგლოვობო, —
უპრაგონოდ იცინის.

ველარ ვხედავ მის ხელში
ველარც წიგნს და ვერც ვაზეთს,
ინსტიტუტში მგონია, —
დასეირნობს ვერაზე.

ექებს მეძებარეით
წვეულებებს, დღეობებს,
ლექციების მაგივრად,
სწავლობს სადღეგრძელოებს!

შუალამით ბრუნდება,
ზოგჯერ სულაც არ მოდის;
ტანსაცმელი აცვია
რა ფერის და რა მოდის!..

საყვედურზე ტლინკებს ყრის,
ველარა ვცნობ გონაშლილს!..
ლექტორებო, თუ ნახოთ,
დააბრუნეთ სკოლაში!

ნოდარ შამანაძე



— უშალო! თქვენზე ანონიმურა შემოსული, მკვლარი სულელები კვავსო!

თქვენი
სწავლა
გვერდი

- ნუ იჩქარებ იქ მისვლას, სადაც არ გელოდებიან!
- დაღევა კარგია, მაგრამ კარგად დაღევა უარესია.
- უსაჩუქროდ მოსულ სტუმარს დიდხანს არ ივიწყებენ.
- თუ გინდა გაიგო ფულის ფასი, ვინმეს ესესხე!
- სიუპარულში გონებას კარგავენ და ამ დანაკარგს ქორწინების შემდეგ ამჩნევენ.

ალექსანდრე ეინგორინი

მთელი მსოფლიო

რაც თბილისელებს ორმოცგარდუსიანი სიცხე დააბარბაცებს, ზოგი ზღვაში ჩაუტყულებულავენაშე ოცნებობს, ზოგიც — მთაში გასეირნებზე. ჩვენც დამსვენებლის მარშრუტს მივყევით და, რადგან რკინიგზა ჭერჭერობით ყველაზე პოპულარულია საზოგადოებრივ ტრანსპორტს შორის, იქით გავეშურეთ. რიგი არ იყო ბილეთებზე, ვერ ვიტყვით, მაგრამ რა შედარებაა იმ რიგებთან, წარსულ ზაფხულებში რომ გვინახავს: შესამჩნევად გაზრდილა საღაროების რაოდენობა, ასევე შესამჩნევად შემცირებულია რიგები... განწყობილება დიდებულია, — ჯიბეში საერთაშორისო ვაგონის ბილეთები გვაქვს!.. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გველის კომფორტით მგზავრობა. გასვლამდე ოცი წუთიდა რჩება და ჩვენ ბაქანზე ვსეირნობთ. აქ სოკოებივით მომრავლებულან პატარ-პატარა ჯიბურები წარწერით: „საკონდიტრო პროდუქტი“ და გამაგრილებელი წყლები“. ახლოს ვერ შევძელით მისვლა. ამიტომ შორიდან ვესროლეთ კითხვა ჭუჭყიან ხალათში გამოწყობილ გამყიდველს: — ცივი ბორჯომი არა გაქვთ? — პივა თირკმელებს ხომ არ გატკენთ, ბატონო? — არა, მაგრამ მოთენთვა იცის!


ლუდის გარდა, ჯიბურის ვიტრინაზე შამპანურისა და „სუვენირად“ წოდებული კონიაკის ბოთლები დავლანდეთ (რადგან სუვენირი ჰქვია, ვითომ არ დილევია?).

საბილეთო საღაროებთან, ურიგობისაგან განებივრებულებს, არცთუ მაინცდამაინც გვეპიტნავა ჯიბურის წინ ასეთი ხალხმრავლობა. მილიციის მუშაკი რომ არა, ალბათ, საერთაშორისო ვაგონის მაგიერ, ლუდის რიგში მოგვიწევდა მთელი ღამე ყურყუტი.

გამოჩნდა წესრიგის დამცველი და ჯიბურთან ატუზული ბახუსის მოყვარულები თვალისდახამხამებაში მიმოიფანტნენ, მხოლოდ ერთი-ორმა ვერ მოასწრო ფეხის ათრევა. როცა მილიციელი ერთ-ერთ მათგანს მხარში ამოუდგა, ცნობისმოყვარეობამ წაგვძლია და მოკრძალებით მივმართეთ: — იქნებ აგვიხსნათ, ან ის ხალხი სად გაქრა, ახლა აქ რომ იდგა, ან ეს ვინ არის? მან უღვაშებში ჩაიციხა: — ეს ჯიბურები რომ არ იყოს, რა ეშველებოდა თბილისელ ლოთი-შფოთებს! რომელი რესტორანი ან სასადილოა, დილის ექვსი საათიდან ღამის ორ საათამდე რომ მუშაობდეს? ამ მოვრალეობით უღვას სული და ასრულებს გეგმას თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სამედიცინო გამოსაფხიზლებელი ჩვენ პირები დავადეთ. მან განაგრძო: — მართო ამ რვა თვის განმავლობაში გამოსაფხიზლებელს სადგურში დამთვრალი სამასამდე მგზავრი ჩავაბარეთ. სამაგიეროდ, ვაგზლისგარეთა ტერიტორიაზე თორმეტი საათის შემდეგ იდეალური სიცარიელეა, გულითაც რომ მოინდომოს, თვით კვაჭიცი კი ვერ იშოვის ტრანსპორტს. — დაამთავრა მილიციელმა, საცოდავად ჩამოკონწიალებული გამოსაფხიზლებლის პაციენტი უფრო მოხერხებულად მოიგდო მხარზე და თავის გზას გაუდგა.

დამრულ მატარებელს ძლივს მივუსწარი და ჩვენი კუბე მოვძებნეთ. კოხტად მორთულმა სავარძელმა, საწოლებმა და კუბეში ჩამონტაჟებულმა პირისხანმა ბაქანზე განცდილი წამსვე გადაგვიწყა. გადავწყვი-

ტეთ, წყურვილი მოგვეკლა, შემდეგ ხელ-პირი დაგვებანა და მოგვესვენა. წინ ხომ მთელი ღამის მგზავრობა გველოდა! როცა დერეფანში მოწყობილი დასალევი წყლის ონკანი მოვეშვიტ და ბულაჩაურისა და ნატანტარის წყლით პირთამდე გავსებულნი ჭიქა უზომოდ მოწყურებული კაცის სიშმაგით ხანაში ჩავიპირქვავით, თქვენს მტერს, რაც ჩვენ დაგვემართა... თავს ძალა დავატანეთ, თორემ არცთუ ისე გაქათქათებული ვაგონის კედლებს კაი დღე არ დაადგებოდა... ახლა კუბეს მივაშურეთ, პირისხანის კარები ჭიქურ გამოვადეთ და ის იყო ონკანიდან უხვად წამოსული წყლისათვის გახურებული შუბლები უნდა მიგვეშვირა, მაგრამ პირისხანმა პირში ჩალაგამოვლებულელები დაგვტოვა... ონკანის სახელურები არსად ჩანდა... გუნებაგაფუჭებულეებმა ძილიდა ვარჩიეთ, ნესტიან, ჭუჭყიან, სანახევროდგაუთოებულ ზეწრებში გავეხვიეთ და თვალის მილულვას ვაპირებდით, რომ ჩვენი გამცილებლის დისკანტი სატირალში მოსული ჭირისუფლის კვილივით ჩაგვემსა:



დახურავებული ღობიკა

კმირს ღობის დასასრულსა და ორშაბათი ღობის დასაწყისს, ყოველგვარი სანოვაგით, მიძინებული ბავშვებითა და მგზავრობით განაწამები ადამიანებით დატვირთული ბორჯომ-თბილისის მატარებელი დამნაშავესავით ჩამოვდა თბილისის რკინიგზის სადგურის პირველ ლიანდაგზე. ბაქანზე ჩამოვდილი და სადგურის წინ, ტაქსების გაჩერებაზე, რიგის მსგავს ხალხის მასას მივუახლოვდი.

— შენ საით, ჯიგარო?! — ავლაბრული აქცენტით შემეკითხა მძლოლი, რომელსაც უკვე უჯდა ტაქსში ოთხი კაცი.

— მერვე პოლკისაკენ, სამჯერ ჯიგარო! — ჩაუვალაბრულე მეც.

— ჩაქეი! — მიბრძანა მან.

გადავხედე რა შექმნილ მდგომარეობას, თავბატივი აღარ დამიწყია და უხმოდ ჩავჯექი.

— ჰოდა, იმას ვამბობდი, — გააგრძელა მძლოლის, გვერდით მჯდომმა სქელმა კაცმა, რომელსაც კისერი და თავი ერთი დიამეტრისა ჰქონდა, — ახლა ჩვენში ძნელად თუ მოიძებნება კაცი, მარტო თავისი ხელფასით რომ ცხოვრობდეს.

— მე ვარ მასეთი! — ვიუკადრისე მილიონობით კეთილსინდისიერი ადამიანის აბუჩად ავდებდა და, რაც შემეძლო, წელში ვავსწორდი. ხუთივემ ისე შემომხედა, თითქოს გადამდებოდა სენით ვყოფილიყავი დაავადებული.

— აბა, შენა ყოფილხარ გრაფი მონტე-კრისტო, აი! — დაცინვით მესროლმა მძლოლმა.

— თქვენ რა გვარი ხართ? — შევეკითხე მე.

— გვარი რად გინდა?! მეტსახელად „ბეგემოტას“ მეძახიან!

— გეტყობათ! — დაცინვით მივუგე მეც.

მძლოლმა ჩემი დაცინვა რატომღაც უპრეტენზიოდ გადაყლაპა და ორი მგზავრი ჩამოსვა სადღაც, ჩაბნელებულ აღმართზე.

— ახლა ამ ორს „აფრიკაში“ ჩაიყვან და მერე შენც დაგაბინავენ! — დამამშვიდა მან.

ორი საათი შესრულდა, „ბეგემოტამ“ რომ ტაქსი ჩემს სადარბაზოსთან დაამუხრუჭა. მე მას ორი მანეთი მივაწოდე და, ყოველი შემთხვევისათვის, ცოტა შევიცადე, იქნებ ხურდა დამიბრუნოს-მეთქი.

— ეს რა არის? — თვალეზი გადმოქაჩა მან.

— ფული! — რაც შეიძლებოდა ჩუმად ჩაუვლაბარაკე მე.

— მერე?

— რა მერე?

— კითხვა არ იცი?

— ვიცი!

— თუ იცი, აქ რამდენი წერია? — მრიცხველზე მიმითითა მან.

— ეგ ჩემი რა ბრალია, შენ რომ მთელი თბილისი მომატარე? — კვლავ შევთავაზე ზავი მძლოლს.

— შე კაი კაცო, მთელი თბილისი გაჩვენე, ასეთ ექსკურსიაზე ინასტრანი

ტურისტები დოლარებს იხდიან და შენ ორი კაპიკი გენანება?! — არ მიიღო ზავი „ბეგემოტამ“.

— ამ შუალამისას რა დროს ექსკურსია იყო?! — უფრო დაუწუწე ხმას იმის შიშით, რომ ჩვენს კამათზე მეზობლებს არ გამოეხეტათ და არ შეგერცხვენილიყავი. შემდეგ დედისერთა ხუთმანეთიანი სნაიპერივით ვესროლე მძლოლს. მან ხუთმანეთიანს ჯიბეში უკრა თავი და ნაწმამსაფრთხილად მიიხრია:

— ამის შემდეგ კრინტი აღარსად დასძრა, მარტო ხელფასით ვცხოვრობო!

ლ. მამალაძე,

ნახ. მ. აბაშიძის



— ამათი განვითარების გულისთვის, ძმაო, მე შვჰადის ჰამას ვერ გაღავეჩვევი!..

— ვოწლე ატკრიტის ოკონ ვეშჩი ნე კლადიწვი! ნა ღობისი ვარავსტვო! — ამის შემდეგ ფანჯარა საიმედოდ ჩაკეტეთ და, კარცერში გამოშვებული დედასავე, ძილს მივეცი თავი.

გამთენიისას ისევ გაისმა დისკანტი:

— მატარებელი უახლოვდება სადგურ ბარათაშვილს, გაჩერება ერთი წუთი. ბოლო ორი ვაგონი გვირაბში მოექცევა. ჩამსვლელთ ვთხოვთ, წინა ვაგონებისაკენ გაიწიონ!

გამცილებლის ასეთი მზრუნველობით გულაჩუქებულემა ვეღარც კი შევამჩნიეთ, თუ როგორ გავატარეთ ერთი წუთი ჯოჯოხეთივით ჩაბნელებულ გვირაბში.

ჩქარა ჩვენი უი-მოგზაურობაც დასრულდა... შემადგენლობა სოხუმის ვაგზალს მიუახლოვდა, სვლას უკლო და შეჩერდა. გამცილებელს გამოვემშვიდობებთ. მან გულთბილად გააფრთხილა მგზავრები:

— პლატფორმა ვისოკაია. უვაჟემიე პასაჟირი, ნე უშიბიწეს! — როცა ვაგონის კარებთან მივედი, ძალაუნებურად ჩვენი პირველი ნახტომი გავახსენდა. ზუსტად ასეთივე გრძნობა გვქონდა მაშინ, როცა „მუსტიადის“ საპარაშუტო კოშკზე ვიდექით. ვაგონიდან ერთიმეორის მიყივებით გადავხედავით და გულში ვლოცავდით იმას, ვინც პარაშუტით ხტომა გვასწავლა.

სოხუმის სადგურზე პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, ეს იდეალური სისუფთავე იყო. იცოცხლეთ. გავიხარეთ!.. აი, ამას ჰქვია სამსახურისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება! ბარაქადა, სოხუმელებო! ხელის გადანაბნალ ტულეტს მივაშურეთ. მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როცა შევიტყვეთ, რომ გაღება 1978 წელს დაკეტილი ტულეტისა, რომელიც საერთო დარბაზს ეკუთვნის, დღემდე არავის უფიქრია.

— ვის მოუვიდა ტულეტის დაკეტვის იდეა?! — დავინტერესდით ჩვენ.

— ამ ორი წლის წინათ ვიფიქრეთ: „საპარიკმახეროს გავაფართოვებთ ტულეტის ხარჯზე, ხოლო მარ-

თლაცდა უადრესად საჭირო ტულეტს უფრო მოხერხებულ ადგილას გადავიტანთ“, მაგრამ, ხომ იცით სკლეროზის ამბავი? ერთიც დაგვაფიქვდა და მეორეც! — შემოიკრა თავში ხელი ვიღაც ადგილობრივმა თანამშრომელმა და გასაღების მოსაძებნად გაიქცა.

მგზავრობა მოულოდნელობით არის სავსე. მაგალითები? რამდენიც გნებავთ! ამ ზაფხულს, ერთხელ, „სოხუმი-მოსკოვის“ № 86 მატარებლის ვაგონრესტორანში პროდუქტი უხვად ჩაუტვირთავთ. შემადგენლობის გამგზავრებას 30 წუთი აკლდა, როცა სოხუ-



მის ტექნიკური დათვალეირების პუნქტმა ვაგონი ტექნიკურად გაუმართავად ცნო, ჩამოხსნა და წლიურ რემონტში გაგზავნა, მატარებელს კი ცარიელი ვაგონრესტორანი მიაბეს. სწორი ყოფილა შემთხვევა, როცა თეთრეულის დაგვიანებით მატარებლის გამგზავრება 20-30 წუთი დაგვიანებულა, № 50, № 60 ვაგონები არ ყოფილა ჩაის მოწყობილობებით უზრუნველყოფილი, ხოლო № 391, № 960, № 698 ვაგონები გაფუჭებული ტიტანებით გამგზავრებულან. შემადგენლობები არ მარადებოდა ცოცხებითა და სანიტარული წესრიგის დაცვისათვის საჭირო სხვა ინვენტარით. წლიური რემონტიდან გამოსული ვაგონები კი ფაქტიურად ისევ უკან მისაბრუნებელი გამხდარა...

უკვე თბილისისაკენ მოვემგზავრებოდით. მატარებლიდან სულ უფრო ფერმკრთალდებოდნენ სოხუმის ლამპიონები. დაწოლას აზრი არ ჰქონდა. ან რა გულით ჩავწოლილიყავით ნესტიან, ჭუჭყიან და ნახევრადლაუთოვებელ ქვეშავეში?! თურმე, ნუ იტყვი და, ასეთი ამბავი ზაფხულის სეზონის მოუცილებელი თანამგზავრია, რადგან ამ პერიოდში ერთიორად მოზღვავებულ მგზავრებს, რა თქმა უნდა, ერთიორად უფრო მეტი მომსახურება ესაჭიროებათ. ადამიანებს რა უჭირთ, სატკივარს ენით გამოთქვამენ, მაგრამ რა ქანა უტყვია სარეცხმა და საუთოვებელმა აგრეგატებმა, რომელთაც ისლა დარჩენიათ, თავიანთი პროტესტი უხარისხოდ შესრულებული სამუშაოთი გამოხატონ.

ფანჯარაში თავქუდმოვლევით გარბოდნენ ტელეგრაფის ბოძები. უცაბედად გავახსენდა ბავშვობაში ათასჯერ წაღლინებული სიტყვები: „მოდის მატარებელი, გულის გამხარებელი“. ავგატებული სიმღერა ამჟამად უსიამოვნების გრძნობას უფრო გვიღვივებდა.

ახლა უკვე შემოდგომაა და მატარებლით მგზავრობა სიამოვნებაც კია, მაგრამ ხომ მოვა ისევ საკურორტო სეზონი? ნუთუ, ისევ უნდა ვეწამოთ? არაო, — გვპირდებიან რკინიგზის თავკაცები. ალილო და ხვალაო!

ბარი მებრძველი
თამაზ ზეიზვილი



მსხვილფეხა საქონელი ზოგიერთი „სპეციალისტის“ წარმოდგენით



— თბილისიდან გირეკავთ, ჩვენო ნიანგო! ს. ჩიქოვანის ქ. № 22-ში ვცხოვრობთ, „მწერლების სახლში“. სახლი კარგი გვაქვს და კმაყოფილებიც ვართ, მაგრამ გარეთ გამოსვლა არ გინდა? ჩვენი სახლის წინ „თბომეურნეობამ“ სამუშაოები ჩაატარა. გათხარეს, მიღები ჩაუარეს, შემდეგ მიწა მოყარეს და ყველაფერი აყარ-დაყარეს. ასფალტის დაგება ჩვენი საქმე არ არის, ორჯონიკიძის რაიონის საგზაო კანტორას ეხებაო. იქნებ „თბომეურნეობამ“ გვიპასუხოს: ვინ უნდა დაამთავროს მათი დაწყებული საქმე? ძაღლების ყეფაზე, კოლოების კბენასა და წყლის გაზრდილ გადასახადზე არაფერს ვამბობ (ეს სიტყვამ არ მოიტანა...), მაგრამ ერთსა გთხოვთ, თუ არ გაგიძნელებათ, იქნებ გავვიგოთ, თვეში ერთ სულზე რა ღირს სახმელი წყალი?

* * *

— მიაკოვსკის რაიონის სოფელ ობჩიდან ვართ, საყვარელო ნიანგო! გზის უხარისხობამ ძალზე შეგვაწუხა (თუ შეიძლება ჩვენს გზას გზა ვუწოდოთ!) ავტომანქანებით კი არა, ფეხითაც გვიჭირს სიარული. გვიპირდებიან, ასფალტს დავაგებთო, მაგრამ როდის, ამას ვერავინ ამბობს. ალბათ, საქართველოში არც ერთი სოფელი რომ აღარ იქნება უასფალტო და უგზო, მაშინ მოიცლიან ჩვენთვის!

* * *

— მანგლისიდან გამოგზავნილი დებეზა ბორჯომში მივიღეთ, ყოვლისშემძლე ნიანგო! მივიღეთ, მაგრამ ვერაფერი გავიგეთ. იქნებ თქვენ ამონსნათ, რა წერია დებეზაში. სიტყვასიტყვით ჩაგაწერინებთ: „ღაპილნ კუცგვად ვურტ“.

— ძალზე ადვილი ამოხახსნელია, საინტერესოა რატომ ვერ გაიგეთ? აღნიშნული რაიონების კავშირგაბმულობის განყოფილებებს უნდათ თქვან: „ძალიან ცუდად ვმუშაობთ“. თქვენ კი გეგონათ, რომ დებეზა თქვენს სახელზე იყო გამოგზავნილი!



სურათი I

რომელიღაც ათასწლეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მთვარიანი ღამე. თანამედროვე „დუბლიონკის“ წინაპარ ქურქში გახვეული თმაწვერგაბურძენილი ადამიანი ლოდზე ზის, დაახლოებით, როდენის „მოაზროვნის“ პოზაში და ფიქრს მისცემია. საფეიქრო და თავსამტვრევი კი, იცოცხლე, აქვს: აგერ, ოცდამეათე მუხის ჩასვლაა, ლოდებს ეზიდება შორეული მთის ქვის სამტვრევიდან: გვარს გამოეყო, საკუთარი სახლი სჭირდება!.. იქვე, კვერის მსგავსი სათრევიდან გამოსხნილი გასაფათებული კამეჩი იცოხნება უგემურად, ცაზე არხენად მიგორავს გაბადრული მნათობი... და კაცს აეკვირება რატომღაც: „...მთვარე მრგვალია, მიგორავს... მერე რომ მრგვალია, ვითომ რაო?!..“ ბილიკზე გარეულმა თხამ გაიბრინა და კლდის ნამუსრევი დააცვივდა ადამიანს. ერთი მრგვალი ნამტვრევი კაცს ასცდა, გაივარა, მაგრამ მაინც გაგორდა, შეიჭრა მთვარის შუქით განათებულ გუბურაში და მრგვალი წრეები მიაწყდნენ მოსილულ ნაპირს.

„...ქვა მრგვალი... მთვარეც... მრგვალი წრეები... კაცო, დღეს რა ყველაფერი მრგვალია, ეს ოხერი?!“

...და კაცმა შეჭკივლა რაღაც უცნაური, მგონი თანამედროვე „ვერიკას“ მსგავსი...

...ექვსი ღამე იმუშავა ქურქიანმა, გაბურძენილმა კაცმა და მეშვიდე დღე რომ დაღამდა, კვერის მსგავსი სათრევი არცთუ ისე იდეალურად მრგვალ, მაგრამ მაინც მრგვალ... ოთხ ბორბალზე იდგა. კაცმა რის ვაივავგლახით შეაგორა „ურემზე“ უსარმაზარი ქვის ლოდები, კამეჩი კი უყურებდა გაოცებული და ცრემლი სდიოდა მორჩილი, მაყვალა თვლებიდან: „...ბატონო, პატრონო, ადამიანო, ამის გამწვევი ვარ მე?! შე კაცო, მამონტი ხომ არ გგონივარ, ერთი საწყალი ლომა კამეჩი?!“ მაგრამ არ დაინდო კაცმა და შეუძახა. უიმედოდ გაიწია ცხოველმა, მაგრამ გაოცების ყოყინი აღმოხდა გასარებულს: ცარიელი კვერი არ გაუთრევიდა ასე იოლად!..

იმ ღამეს ტკბილად ეძინა ბორბლის პირველ კონსტრუქტორს, მაგრამ... არ ეძინა სხვა კაცს. ის სხვა კაცი შურიანი იყო და ზარმაცი: ჩამოგლეჯილი ქურქი ეცვა, ცეცხლთან ახლო წოლით კალთებგამომწვარი. „მაცალე მე შენო!“ — ჩაიბაგუნა გულში მუშტი, მაგრამ ნაჯახი არ აუღია ხელში: „მაგას პატენტი აღებული ექნება და წვალებად არ ღირსო“. შურიან კაცს გაასხენდა ზარმაციც რომ იყო და...

...მეორე დღეს ის მიდამო შესძრა კონსტრუქტორისა და მისი ცოლ-შვილის მოთქმა-ტირილმა: ოთხივე ბორბალი უკვალოდ გაქრა.

სურათი II

მეოცე საუკუნე. თბილისის რომელიღაც მასივის ერთ-ერთი კორპუსის წინ ხალხს მოუყრია თავი. კვირაა და გასართობი გამოუნდათ: უღმერთოდ გაძარცული „ჟიგულის“ პატრონი მოთქმით უსათქუნებს თავს მანქანის კაპოტს და თხელი თუნუქი მფლობელის თავის ფორმას ღებულობს.

— კაცო, „პაკრიშკებს“ არ ვჩივი, ჩემი იყო და თავში ქვა უნდა ვიხალო: ძაღლის პატრონს რა ვუთხრა, მედღეები შეუხსნიათ ამ სამგლისთვის, ოხრებს!..

— ვა, ძაღლი დაიქირავე?!..

— ძმაკაცი გადამევიდა, სანამ „სეკრეტებს“ და „სპეცბოლტებს“ დააყენებდე, გათხოვებ „ტარზანას“ ერთი კვირით, ექვსი შპიონი და რვა სპეკულანტი ჰყავს დაჭერილიო...

— ეგ იმ ტარზანის რა არის? — იღრიჭება ვიღაც სეირის-მოყვარული.

— ეს ყოფილი მედალოსანი აგნარკა რაღაც იცინისავით, მგონი შეირყა სირცხვილისაგან.

— მე ვიცი, რაც აცინებს მაგას: ალბათ, უბოლეს შორიდან „პლანი“, კარგ ხასიათზეა... არ გიკვირს, თან რომ არ გაჰყავა?!

— რას წაიყვანდნენ?! რომ გამოფხიზლდება, დაგვჭამსო, იფიქრეს...

სურათი III, შინალი

ავტორუფილავტორიუში. დგას უამრავი „ჟიგული“, რომელთაც ემსახურება ასიოდ „დამწვარი ოსტატი“. ცხვირჩამოშვებული „ოსტატები“ ელვის სისწრაფით აყენებენ საბურავებს და სხვა ნაწილებს...



ნახ. ზ. ლომიძისა



კომპოსის კუნძულები ინდოეთის ოკეანეში მდებარეობს. მათი ტერიტორია 14,3 კმ კილომეტრია. მოსახლეობა — 600 კაცზე ცოტა მეტი, — შეტყუალდ, მაღალიყვანი, მათ ფორმალურად მართავს ავსტრალია, მაგრამ ფაქტურად გუგონის ვინმე ჯონ კლინსონის.

ეს მილიონერი აბირებს გაყიდოს თავისი საკუთრება 10 მილიონ გირვანქა სტერლინგად. ავსტრალიის მთავრობა კი შას, ჩერკებობით, 2,1 მილიონზე მეტს კერ სთავაზობს.

გაუხუმებელი მაგრობა

გაკანული იუმორი

- ბატონო რაინერ, რაზე ჯავრობს თქვენი მეუღლე?
- მდივანი გამოვიცვალე!..
- * * *
- ბრუსკე, სად გაატარეთ შვებულება?
- იტალიაში. ძალიან საინტერესო ქვეყანაა.
- მართლა ჩექმასა ჰგავს?
- * * *
- ვილი, შენი საშინაო დავალება ბრწყინვალედა შესრულებული. ეს ნამდვილად ვინმეს დაუხმარებლად გააკეთა მამაშენმა?
- * * *
- ციოლა** შვებულება უქმროდ გაატარა. ორი კვირის შემდეგ წერილი მისწერა: „ჩემო საყვარელო, რომ იცოდე, აქ რა ლამაზი ბუნებაა! რაც მთავარია, წონაში ნახევარი უკვე დავიკელი. რა კარგი იქნები, თუ ნებას დამრთავ. რამდენიმე ხანს კიდევ დავრჩე!“
- ქმარმა უპასუხა: „ჩემო კარგო, ნებას გაძლევი, კიდევ ორი კვირა დარჩე!“
- * * *
- ასალაშუალებული** წყვილი ქორწინების სასახლიდან გამოვიდა. ვაჟი ქალს ეკითხება:
- ბედნიერი ხარ?
- მერე როგორი! ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს. ახლა კი ყველაფერს შეეკმამ, რასაც გათხოვებამდე ვიკლებდი, რომ ტანი არ გამფუჭებოდა!
- * * *
- ერთმა** კაცმა უშვებულებელი დოგი შეიძინა და ეზოში მეზობელი შეიპატიჟა:
- შემოდი, ნუ გეშინია, შემოდი!
- კი, მაგრამ, არ იკბინება შენი ძაღლი?
- არ ვიცი, ეს-ეს არის შეგიძინე და მეც ეგ მაინტერესებს!

გერმანულიდან თარგმნა ციური ჰანიამ

ფელიქს კრივისი

კაკლები

- ერთმანეთს** შეხვდა ორი კაკალი: ჭახ-ჭუსი
- მიეჯახუნენ ერთმანეთს, ძაღზე იხმაურეს და თითოეული თავის გზაზე გაგორდა. მიგორავენ და ფიქრობენ:
- პირველი კაკალი:** საშინელებაა, როგორ გამარავლდნენ ეს ფუჭი კაკლები! რამდენი ხანია ვცხოვრობ და არც ერთი სავსე არ შემხვედრია!
- მეორე კაკალი:** როგორ ახერხებენ შენიღვას ეს ფუჭი კაკლები? შეხედავ, ნორმალური კაკალია, მაგრამ უკვე პირველი შესლიდანვე ნათელი ხდება, რასაც წარმოადგენენ!
- პირველი კაკალი:** ნეტა, ვინმესთან მაჯახუნა, იხე, კაცურად!
- მეორე კაკალი:** ნეტა, ვინმესაგან გამაგონა ნამდვილი ხმა!
- მიგორავენ კაკლები და თითოეული მათგანი მეორის სიცარიელეზე ფიქრობს.
- აბა, სხვა რა შეუძლიათ ფუჭ კაკლებს?

ყულაბა

- ისწავლეთ ცხოვრება! — ჭკუას არიებდა შინაურებს თიხის ყულაბა, — აი, მაგალითად მე: თვალსაჩინო აღვიღას ვდგავარ, არაფერს ვაკეთებ, ფულები კი პირდაპირ ზეციდან ცვივა.
- მაგრამ რამდენი ფულიც არ უნდა ჩაეყარათ ყულაბაში, მას სულ ეცოტავებოდა.
- მოიტა კიდევ! — წკრიალებდა იგი, — დაამატე!
- ერთხელ, როდესაც ყულაბა გაივსო, მასში კიდევ ერთი მონეტის ჩატენვა სცადეს. ფული არ ჩადიოდა, ყულაბა ძაღზე ღელავდა, რომ ფული მას არ შეხვდებოდა, მაგრამ პატრონმა სხვაგვარად განსაჯა: აიღო ჩაქუჩი და...
- ერთ წამში დაკარგა ყულაბამ ფულებიცა და თვალსაჩინო მდგომარეობაც: მისგან მხოლოდ ნამსხვრევები დარჩა.

თარგმნა კომბე ანთაძემ